შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ბონდი - 2009“

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი

აუდიტორის დასკვნა

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ.ბათუმი

2019

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბონდი - 2009“

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე..... 3

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 4

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 7

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 8

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 9

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 10

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 11-20

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია 11

შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი 11

შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა 11

შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები 15

შენიშვნა 5. ძირითადი საშუალებები 15

შენიშვნა 6. არამატერიალური აქტივები 16

შენიშვნა 7. სასაქონლო მატერიალური ფასეულობა 16

შენიშვნა 8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 16

შენიშვნა 9. ფულადი სახსრები 17

შენიშვნა 10. წინასწარ გაწეული ხარჯები 17

შენიშვნა 11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 17

შენიშვნა 12. საგადასახადო ვალდებულებები 17

შენიშვნა 13. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 18

შენიშვნა 14. ამონაგები 18

შენიშვნა 15. გაწეული მომსახურების თვითღირებულება 18

შენიშვნა 16. სხვა შემოსავალი 18

შენიშვნა 17. კომერციული დანახარჯი 19

შენიშვნა 18. ადმინისტრაციული დანახარჯი 19

შენიშვნა 20. სხვა ხარჯები 19

შენიშვნა 21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები 20

შენიშვნა 22. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები 20

შენიშვნა 23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება 20

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბონდი-2009“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ბონდი-2009“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 18 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

_____

მამუკა დოლიძე

დირექტორი

2019 წლის 18 სექტემბერი

ბათუმი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ,,ბონდი-2009“-ის პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს ,,ბონდი-2009“-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს ,,ბონდი-2009“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს - ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს ,,ბონდი-2009“-ისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშში შესულ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და მასზე ჩვენს აუდიტორულ დასკვნას. ხელმძღვანელობის რეპორტი მოგვეწოდება წინამდებარე აუდიტორული დასკვნის გამოცემის შემდეგ.

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე სხვა ინფორმაციას არ მოიცავს და მასზე რაიმე სახის თვალსაზრისს არ გამოვხატავთ

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი მოვალეობაა, გავეცნოთ სხვა ინფორმაციას და, იმავდროულად, დავასკვნათ, ხომ არ არის სხვა ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების ან აუდიტის პროცესში მოპოვებულთან არსებითად შეუსაბამო ან სხვაგვარად მნიშვნელოვნად არაზუსტი.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს - ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს ,,ბონდი-2009“-ის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების

შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან შპს ,,ბონდი-2009“-ის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც

არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს ,,ბონდი-2009“-ის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწო-ნილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთე-ბულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონი-რებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს ,,ბონდი-2009“-ის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს ,,ბონდი-2009“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

შპს შპს ,,ბონდი-2009“-ის ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ინტელექტ-აუდიტის“ სახელით (რეგ. №SARAS-F-583489)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

ივანე გაჩეჩილაძე (რეგ. № SARAS-A-516713)

18 სექტემბერი 2019 წელი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

აქტივები	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	5,101,709	5,302,337
არამატერიალური აქტივი	6	83,114	154,903
გრძელვადიანი მოთხოვნები		-	141,213
სულ გრძელვადიანი აქტივები		**5,184,822**	**5,598,454**
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	7	2,263,294	977,289
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	1,926,861	3,045,810
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	9	3,292,354	3,355,321
წინასწარ გაწეული ხარჯები	10	28,024	35,065
სულ მიმდინარე აქტივები		**7,510,533**	**7,413,486**
სულ აქტივები:		**12,695,355**	**13,011,940**
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		100	100
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი		8,281,545	5,484,755
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	19	2,999,049	5,092,779
სულ საკუთარი კაპიტალი		**11,280,694**	**10,577,634**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		653,590	1,162,506
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**653,590**	**1,162,506**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	449,728	847,493
საგადასახადო ვალდებულებები	12	311,343	392,296
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	13		32,010
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**761,071**	**1,271,799**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**12,695,355**	**13,011,940**

ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა დოლიძე	**ნათია ვარშანიძე**
დირექტორი	**ბუღალტერი**

2019 წლის 18 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	12/31/2018	12/31/2017
ამონაგები	14	18,708,400	19,065,706
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	15	(12,897,897)	(11,674,368)
საერთო მოგება		**5,810,503**	**7,391,339**
სხვა შემოსავალი	16	92,947	329,786
კომერციული დანახარჯები	17	(121,751)	(57,936)
ადმინისტრაციული დანახარჯები	18	(1,874,434)	(1,588,827)
საპროცენტო ხარჯები		(59,003)	(97,923)
სხვა ხარჯები	20	(770,906)	(846,226)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		**3,077,356**	**5,130,213**
მოგების გადასახადი		(78,307)	(37,434)
საანგარიშო წლის მოგება		**2,999,049**	**5,092,779**

ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა დოლიძე
დირექტორი

ნათია ვარშანიძე
ბუღალტერი

2019 წლის 18 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-20 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ”ბონდი - 2009”

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ
31.12.2016 ნაშთი	19	***100***	***6,489,755***	***6,489,855***
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება		-		**-**
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება		-	*(1,005,000)*	**(1,005,000)**
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	19	-	*5,092,779*	**5,092,779**
31.12.2017 ნაშთი		***100***	***10,577,534***	***10,577,634***
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება		-	-	**-**
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება		-	*(2,295,989.48)*	**(2,295,989)**
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	19	-	*2,999,049.43*	**2,999,049**
31.12.2018 ნაშთი		***100***	***11,280,594***	***11,280,694***

ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა დოლიძე
დირექტორი

ნათია ვარშანიძე
ბუღალტერი

2019 წლის 18 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	31.12.2018	31.12.2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	**22,477,660.62**	**19,378,595.00**
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(18,437,717)	(11,506,902)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(1,610,537)	(1,483,261)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები:	2,429,407	6,388,432
გადახდილი გადასდახადები	(1,585,807)	(2,510,255)
ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე	843,600	3,878,178
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**843,600**	**3,878,178**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(840,812)	(2,104,140)
მიღებული პროცენტები		
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**(840,812)**	**(2,104,140)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის გაზრდა		-
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	614	185,929
სავალუტო გადაფსების ხარჯი	(66,368)	(132,527)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**(65,754)**	**53,402**
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	**(62,966)**	**1,827,440**
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	**3,355,321**	**1,527,881**
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	**3,292,354**	**3,355,321**

ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა დოლიძე
დირექტორი

ნათია ვარშანიძე
ბუღალტერი

2019 წლის 18 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ბონდი 2009 შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიერ. საწარმოს იურიდიული მისამართი არის საქართველო, ბათუმი, ასათიანის ქ., №100. საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ბათუმი, ოპიზრების ქ., №16. საწარმო დაფუძნებულია ბადრი ჭაღალიძის, ოთარ ფუტკარაძის, ნუკრი დოლიძისა და დავით დევაძის მიერ.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა საავტომობილო გზებისა და გზატკეცილების მშენებლობა; ქუჩებისა და ტროტუარების ფუნდამენტების მომზადება და ზედა საფარის მოწყობის სამუშაოები; ასფალტობეტონის წარმოება.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითად ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2018 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურე-ბის ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალე-ბებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენობა-ნაგებობები	15-20 წელი
მანქანა-დანადგარები	3-5 წელი
საოფისეტექნიკა	3-5 წელი
ავეჯი	3-5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	3-5 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით)იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც საწარმოს აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშაულებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქვტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს,უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვეთა, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, თუ არსებობს რაიმე მსგავსი ნიშნები, საწარმო გადახედავს წინა შეფასებებს და თუ ახლანდელი შეფასებები მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისგან, შეცვლის აქტივის ნარჩენი ღირებულებას, ცვეთის მეთოდს ან სასარგებლო მომსახურების ვადას.

შენიშვნა 5. ძირითადი საშუალებები	31.12.18	შემოსვლა	გასვლა	31.12.17
მიწის ნაკვეთები	723,446	-	-	723,446
დაუმთავრებელი მშენებლობა	0	27,763	240,729	212,966
შენობები	555,689	240,729	30,202	345,162
ნაგებობები	25,750	-	1,357	27,107
მანქანა-დანადგარები	1,156,807	11,862	289,202	1,434,147
ოფისის აღჭურვილობა	42,507	28,412	10,627	24,721
ავეჯი და სხვა ინვენტარი	1,176	1,087	-	88
სატრანსპორტო საშუალებები	2,596,334	771,687	710,053	2,534,700
	5,101,709	**1,081,541**	**1,282,170**	**5,302,337**

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ვინაიდან მოსალოდნელია, რომ მანქანა-დანადგარის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით აქტივიები ბალანსში ასახულია აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

შენიშვნა 6. არამატერიალური აქტივები	31.12.18	შემოსვლა	გასვლა	31.12.17
	53,964			
	-			
	906			
	28,244			
	-			
	83,114	**906**	**72,696**	**154,903**

არამატერიალური აქტივებზე ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ქვიშა ხრეშის მოპოვების ლიცენზიებს, ამორტიზაცია დარიცხულია ლიცენზიის ფლობის პროპორციულად.

შენიშვნა 7. სასაქონლო მატერიალური ფასეულობა	31.12.18	31.12.17
	375,904	187,797
	685,742	106,179
	633,591	467,668
	8,545	9,870
	528,430	169,075
	29,421	34,870
	1,661	1,831
	2,263,294	**977,289**

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიღება აღიარებულია შეძენის თვითღირებულებით, გასვლა აღიარებულია საშუალო შეწონილი ღირებულებით.

შენიშვნა 8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.18	31.12.17
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,563,468	2,818,507
საეჭვო მოთხოვნების კორექტირება	162,112	169,821
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	29,546	26,340
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები მოთხოვნები საწარმოს პერსონალთან	171,734	31,143
	1,926,861	**3,045,810**

პერიოდის განმავლობაში საეჭვო მოთხოვნების კორექტირების ანგარიში შემცირებულ იქნა 7,708.6 ლარით.

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 9. ფულადი სახსრები	31.12.18	31.12.17
ფული საბანკო ანგარიშზე - ლარი	123,632	1,463,048
ფული საბანკო ანგარიშზე - უცხოური ვალუტა		1,133,964
ფული სალაროში		
ჯამი	**3,292,354**	**3,355,321**

ფული საბანკო ანგარიშზე - უცხოურ ვალუტაში წლის ბოლოს არსებული ნაშთი გადაანგარიშებულ იქნა შესაბამისი ეროვნული ბანკის კურსით თანხით 35,202.47 ლარით.

კომპანიის ფულადი სახსრების გამოყენებაზე არ არსებობს რაიმე შეზღუდვა

შენიშვნა 10. წინასწარ გაწეული ხარჯები	31.12.18	31.12.17
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება (ხელფასი)	28,024	35,065
	28,024	**35,065**

წინასწარ ანაზღაურებული ხელფასები 28,024 ლარი აღიარებულ იქნა აქტივად.

შენიშვნა 11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.12.18	31.12.17
მოწ და მომსახ წარმოქმნილი ვალდებულებები	442,506	840,701
მიღებული ავანსები	7,222	6,792
	449,728	**847,493**

შენიშვნა 12. საგადასახადო ვალდებულებები	31.12.18	31.12.17
მოგების გადასახადი	7,294	(70,661)
საშემოსავლო გადასახადი	47,720	81,453
დღგ - გადასახადი	150,694	314,683
ქონების გადასახადი	100,561	52,998
დანარჩენი საგადასახადო ვალდებულება	5,074	13,824
	311,343	**392,296**

საქართველოს საგადასახადო კოდექსში, მოგების გადასახადის ნაწილში, 2016 წელს შეტანილი ცვლილებებიდაან გამომდინარე, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილ აქტივებსა და ვალდებულებებს საგადსახადო მიზნებისათვის არ გააჩნია განსხვავებული მნიშვნელობა - საგადაახადო ბაზა. შესაბამისად 2016 წლის 31 დეკემბრის შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში არ წამოიშობა დასაბეგრი და გამოსაქვითი დროებითი სხვაობები და მოგების გადასახადი წარდგენილი იქნება მიმდინარე გადასახადის სახით.

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 13. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	31.12.18	31.12.17
შრომის ანაზღაურების ვალდებულება	-	-
ვალდებულება პერსონალის წინაშე	-	32,010
	-	**32,010**

შენიშვნა 14. ამონაგები	31.12.18	31.12.17
	320,546	560,669
	165,450	300,073
	994,108	2,586,569
	347	568
	17,117,489	15,383,215
		216,102
	110,460	18,511
	18,708,401	**19,065,706**

შენიშვნა 15. გაწეული მომსახურების თვითღირებულება	31.12.18	31.12.17
ძირითადი მასალების დანახარჯები/შეძენა	35,939	54,847
მასალების ჩამოწერა	4,724,919	2,994,920
გაყიდული/შეძენილი საქონელი	3,058,473	3,515,161
გაწეული მომსახურება	3,113,834	3,220,889
მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი	1,010,953	1,168,170
ცვეთა და ამორტიზაცია	953,779	720,382
	12,897,897	**11,674,368**

შენიშვნა 16. სხვა შემოსავალი	31.12.18	31.12.17
არასაოპერაციო მოგება	1,351	52,392
ტექნიკური ბალასტი	42,089	32,773
დანაკლისის რეალიზაცია	43,927	35,417
ლითონის მილი	3,990	540
ბეტონის მილი მეორადი	1,470	-
ბეტონის ფილა	120	-
დადებითი კურსი	-	208,664
	92,947	**329,786**

შენიშვნა 17. კომერციული დანახარჯი	31.12.18	31.12.17
სარგებელი საიჯარო მომსახურებაზე	18,979	44,318
მიწის იჯარა	48,051	-
ტექნიკის იჯარა	54,721	13,618
	121,751	**57,936**

შენიშვნა 18. ადმინისტრაციული დანახარჯი	31.12.18	31.12.17
შრომის ანაზღაურების ხარჯი	1,874,434	1,588,827
	1,874,434	**1,588,827**

შენიშვნა 19. საწყისი ნაშთი ცვლილების შეტანამდე	***3,122,425***
საკურსო სხვაობის ხარჯად აღიარება	(35,202.47)
ცვეთის დარიცხვა	(30,202.46)
საგადასახადო ხარჯის დარიცხვა	(11,005.00)
საგადასახადო ხარჯის შემცირება	1,201.00
ქონების გადასახადის დარიცხვა	(47,565.07)
საპროცენტო ხარჯის დარიცხვა	(752.07)
დებიტორული დავალიანების შემოსავალში აღება	150.00
ნაშთი ცვლილების შედეგ	**2,999,049**

შენიშვნა 20. სხვა ხარჯები	31.12.18	31.12.17
უარყოფითი კურსი		
ბანკის მომსახურება		
სერთიფიკაცია		
მივლინების ხარჟი		
საგადასახადო		
რეგისტრაციის ხარჯი		
განცხადების ხარჯი		
დაზღვევა მანქნების		
ბანკის გარანტიის საკომისიო		
ჯარიმის თანხა		

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

საჯარო რეესტრის ხარჯი		
ექსპერტიზის ხარჯი		
ტესტირების ხარჯი		
აუქციოს ხარჯი		
ნებართვის ხარჯი		
იმპორტის გადასახადი		
საკანცელარიო ხარჯი		
სხვადასხვა ხარჯი		
ელექტრო ენერგიის ხარჯი		
ბუნებრივი რესურსები		
ქონების გადასახადი		
მიწის გადასახადი		
სხვა ხარჯები		
	770,906	**846,226**

შენიშვნა 21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საწარმომ 2019 წლის 29 მაისს პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულება N18-ით შეისყიდა არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, აუქციონზე შეძენილი ქონების სრული საპრივატიზაციო საფასური 6384400 ლარი შეადგინა, აგრეთვე საწარმო ვალდებულია საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე განახორციელოს თანამედროვე არქიტექტურული იერსახის მქონე მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის მშენებლობა

შენიშვნა 22. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

საწარმო დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს პირ(ებ)ს, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საწარმოზე - უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები

	2018 წ.	2017 წ.
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების (კომპენსაციის) მთლიანი თანხა	83950	73710

შენიშვნა 23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 18 სექტემბერს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბონდი -2009 “

მმართველობის ანგარიშგება

(2018 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის)

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ,,ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მმართველობის ანგარიშგებაში ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის, შესაბამისად.

- მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე შესაბამისი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მიხედვით.

- აგრეთვე მმართველობის ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციის, თანხვდენილობაზე აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2019 წლის 20 სექტემბერს

შპს ,,ბონდი-2009“-ის დირექტორი

_____

მამუკა დოლიძე

20 სექტემბერი 2019 წელი

დამოუკიდებელი მარწმუნებელი ანგარიში

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ბონდი-2009“-ის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

შესავალი

ჩვენ ჩავატარეთ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბონდი-2009-ის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის, შესაბამისად მომზადებული, 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგების დამოუკიდებელი დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი, მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგების სფერო

ჩვენი პასუხისმგებლობაა დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე. ჩვენ ჩავატარეთ გარიგება, მარწმუნებელი გარიგებებისათვის ნებადართული მარწმუნებელი გარიგებების, საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (მგსს) 3000 (გადასინჯული) ფირმა იყენებს. ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტს (ხკსს) 1-ს და შესაბამისად გააჩნია, ხარისხის კონტროლის კომპლექსური სისტემა მათ შორის დოკუმენტირებული პოლიტიკა, და პროცედურები რომლებიც ეხება ეთიკური ნორმების პროფესიული სტანდარტებისა და შესაბამისი საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვას.

ჩვენ დავიცავით ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) მიერ გამოცემული პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსით განსაზღვრული, დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული და სხვა ეთიკური ნორმები, რომლებიც დაფუძნებულია პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების, კონფიდენციალობისა და პროფესიული ქცევის ძირითად პრინციპებზე.

ჩვენ აუდიტის საერთაშორისი სტანდარტების შესაბამისად აქამდე ჩავატარეთ კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება 2018 წლის 18 სექტემბერს. 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს,ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ მოვლენების გავლენას

მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი ის მოვლენები რომლებიც მოხდა ფინანსურ, ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ჩვენ პროფესიული განსჯის საფუძველზე შევარჩიეთ და განვახორციელეთ პროცედურები, როგორიცაა გამოკითხვა, ანალიზი და დოკუმენტაციის გადახედვა კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების მეთოდოლოგიებისა და წარდგენილი ინფორმაციის შედარება ,ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან, ასევე განვახორციელეთ რაოდენობრივი და სხვა მონაცემების გადათვლა შედარება და შეჯერება.

მოსაზრება

ჩვენი აზრით:

- 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

- 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია თანხვდენილია 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან

შპს „ინტელექტ-აუდიტის“ სახელით (რეგ. №SARAS-F-583489)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

ივანე გაჩეჩილაძე (რეგ. № SARAS-A-516713)

20 სექტემბერი 2019 წელი

მმართველობის
ანგარიშგება

თავი I

ზოგადი ინფორმაცია საზოგადოების შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ბონდი-2009“ (შემდგომში ,,საზოგადოება“) რეგისტრირებულია 2009 წლის 6 თებერვალს ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიერ. საწარმოს იურიდიული მისამართია: საქართველო, ბათუმი, ასათიანის ქ., №100. საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ბათუმი, ოპიზრების ქ., №16. საწარმოს დამფუძნებლები და 25-25-% წილის მმართველების არიან: ბადრი ჭაღალიძე, ოთარ ფუტკარაძე, ნუკრი დოლიძე და დავით დევაძე.

საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს. საკუთარი საქმიანობის წარმართვისას პარტნიორთა საერთო კრება ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და საზოგადოების წესდებით. პარტნიორების ძირითადი უფლებები – დივიდენდების მიღების უფლება და საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლება – განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში და საზოგადოების წესდებაში. საზოგადოების პარტნიორებს უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების მართვაში, პირველ რიგში პარტნიორთა კრებაზე მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების გზით.

საზოგადოების წესდების შესაბამისად, ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ანხორციელებს დირექტორი. საზოგადოების დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით (2009 წლის 02 ივნისის ოქმი №1) საზოგადოების დაფუძნებიდან, ანუ 2009 წლის 02 ივნისიდან შპს ,,ბონდი-2009“-ის დირექტორად არჩეულ იქნა მამუკა დოლიძე დაბადების წელი 1966, საქართველოს მოქალაქე, საზოგადოებაში წილს არ ფლობს.

საწარმოში შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ.
ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით მომზადებულია თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა.

საზოგადოების საგადასახადო აღრიცხვის სისტემა კარგად ჩამოყალიბებული და მართული. კომპანიის


ბუღალტერია დაკომპლექტებულია შესაბამისი კვალიფიკაციის და საკმარისი გამოცდილების მქონე თანამშრომლებით, რომლებიც რეგულარულად ესწრებიან ტრენინგებს, იმისათვის რათა საქმის კურსში იყვნენ საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე. კომპანიის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს საგადასახადო და სხვა მარეგულირებლებთან პირნათელი ურთიერთობა რასაც წარმატებით ახორციელებს.

საქმიანობის მიმოხილვა

შპს ,,ბონდი-2009“-ის საქმიანობის ძირითადი სახეობებია:

1. გზების მშენებლობა (მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები; გზის შეკეთების სამუშაოები)
2. მზა პროდუქციის რეალიზაცია
3. ნედლეულის რეალიზაცია
4. საქონლის რეალიზაცია
5. ძირითადი საშუალებების რეალიზაცია
6. სხვადასხვა შემოსავალი

2018 წლის შემოსავალი სახეობების მიხედვით:



2015-2018 წლებში საწარმოს მიერ განხორციელებული მსხვილი პროექტები:

N	თითოეული ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების დასახელება	შემსყიდველის დასახელება	სამუშაოების დასრულების თარიღი	სამუშაოების ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	6
1	გურიელის ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოები (spa 150015561	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია		**246 980,49**
2	ადლიის მე-3 ჩიხის კეთილმოწყობის სამუშაოები (spa №150015515)	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია		**220 000,00**
3	შ. ხიმშიაშვილის ქუჩის (ჩარმიქლის ქუჩიდან ჯულიანის არხამდე) კეთილმოწყობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	17,11,2015 წ	**1 190 921,44**
4	დ. აღმაშენებლი, თ. აბუსერიძის, გ. აბაშიძის ქ. (SPA №150033085)	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	29.11.2016 w	**2 343 343,00**
5	ს/გზა „დანდალო-ხარაულა“ (spa №160001134)	აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემის მართვის დეპარტამენტი	29.07.2016 w	**1 018 147,00**
6	ს/გზა „ხულო-უჩხო-კურცხალი“ (spa №160013755)	აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემის მართვის დეპარტამენტი	25.10.2016 w	**1 127 391,09**
7	ქ. ბათუმი, გოგებაშვილის (ბაქოს) ქუჩის მონაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები (სპა №160020160)	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	25.12.2016 w	**903 820,00**
8	ქ. ბათუმში ე.წ. „ჭაობის დასახლებაში“ ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოები (NAT170000177)	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	01.09.2018 w	**5 360 066,99**

9	ქ. ბათუმში ე.წ. „ბარცხანის დასახლებაშ“ ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოები (NAT170000184)	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	01.06.2018 w	**4 479 639,11**
10	ქედის მუნიციპალიტეტში ს/გზა „ქედა-მერისი-ნამონასტრევი“ კმ8+000-კმ10+000 მონაკვეთზე ასფალტბეტონის მოწყობა (spa NAT №170000242)	აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემის მართვის დეპარტამნტი	10.07.2017 w	**717 770,00**
11	შუახევის მუნიციპალიტეტში ს/გზა „ღორექეთი-გამარდული“ კმ0+000-კმ4+400 მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობა NAT170004888	აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემის მართვის დეპარტამნტი	25.10.2017 w	**1 934 860,00**
12	ს/გზა „შუახევი-თერნალი“' (spa №160001218)	აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემის მართვის დეპარტამნტი	28.08.2016 w	**812 658,00**
13	ს/გზა „შუახევი-ჩირუხი“ (spa №160011565)	აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემის მართვის დეპარტამნტი	24.09.2016 w	**668 668,00**
14	ხულოს მუნიციპალიტეტში გოდერძის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიაზე, სამთო-სათხილამურო კურორტის ქვედა დასახლებაშ ახალი 1761 მეტრიანი ახალი საავტომობილო გზის მშენებლობის სამუშაოები	შპს Goderdzi Resorts	31.10.2017 w	**1 434 479,21**
15	შუახევის მუნიციპალიტეტში ს/გზა „შუახევი-ჩირუხი“ კმ0+000-კმ6+000 მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობა NAT180000074	აჭარის ა.რ.მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საავტომობილო გზებისა და სამელიორაციოსისტემის მართვის დეპარტამენტი	07,08,2018 წ	**2 782 557,29**

16	ქედის მუნიციპალიტეტში ს/გზა „დანდალო-ტაკიძეები“ კმ0+000-კმ2+500 მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობა NAT180000484	აჭარის ა.რ.მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საავტომობილო გზებისა და სამელიორაციოსისტემის მართვის დეპარტამენტი	16,05,2018 წ	**705 314,97**
17	ქ, ბათუმში. ნ. ნიჟარაძის ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოები NAT180000396	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	18.06.2019 წ	**1 338 831,25**
18	ქ. ბათუმში, აკ შამილაძის და ლადო ასათიანის ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოები NAT180005610	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	18,06,2019 წ	**3 715 973,81**
19	ქ, ბათუმში, ე.წ. ბონი-გოროდოკი“-ს ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოები NAT1800010262	ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“	21,06,2019 წ	**4 882 278,16**
20	ხულოს მუნიციპალიტეტში ს/გზა „ხიხაძირი-თხილვანა-ბაკო“ კმ0+350-კმ3+200 მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობა NAT170014343	აჭარის ა.რ.მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საავტომობილო გზებისა და სამელიორაციოსისტემის მართვის დეპარტამენტი	30,08,2018 წ	**1 416 859,67**
21	შუახევის მუნიციპალიტეტში ს/გზა „ზომლეთი-ნიგაზეული“ კმ0+000-კმ2+280 მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობა NAT170014352	აჭარის ა.რ.მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საავტომობილო გზებისა და სამელიორაციოსისტემის მართვის დეპარტამენტი	29,07,2018 წ	**1 090 372,95**
22	ხულოს მუნიციპალიტეტში ს/გზა „ზამლეთი-ხიხაძირი“ კმ0+000-კმ1+600 მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობა NAT170014288	აჭარის ა.რ.მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საავტომობილო გზებისა და სამელიორაციოსისტემის მართვის დეპარტამენტი	25,06,2018 წ	**723651,05**

განხორციელებული სამუშაოები მოპოვებულია ტენდერების გზით/ხელშეკრულებების საფუძველზე. აღნიშნული სამუშაოებით მივიღეთ საკმაო გამოცდილება და გაგვიჩნდა შესაძლებლობები სხვა სოლიდურ ტენდერებში მონაწილეობის.

ზემოთ მოყვანილი პროექტების შესრულებისას სამუშაოებს აკონტროლებს ზედამხედველობის სამსახური. მათი წარმოადგენლები ესწრებიან ყველა სამუშაო პროცესს, ასურათებენ და აოქმებენ შემსრულებელთან ერთად აფორმებენ აქტს ყველა ფარულ სამუშაობზე. ყოველი თვის ბოლოს დამკვეთს წარედგინება შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი ფორმა, რომლის სისწორეს ადასტურებენ ზედამხედველები. მთლიანად ობიექტი ბარდება სამხარაულის ექსპერტიზის ან აკრედიტებული ექსპერტიზის მიერ გაცემული დადებითი დასკვნის საფუძველზე.

თავი II

საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:
- საზოგადოების შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- მომხმარებლების მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
- არსებული ძირითადი საშუალებების ექსპლოატაცია ნორმების და მისთვის განსაზღვრული პირობების შენარჩუნებით, თავისდროული მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება;
- სატრანსპორტო საშუალებების პარკის განახლება/განვითარება;
- არამატერიალური აქტივების - ბუნებრივი რესურსების ლიცენზიების ეფექტურად გამოყენება.

<u>მიმდინარე გეგმები:</u>

- საზოგადოება გეგმავს მონაწილეობას რამოდენიმე პროექტში, კერძოდ: მიმდინარე ტენდერებში მონაწილეობის მიღებას, მიწის ნაკვეთის შეძენას მშენებლობის მიზნით, სამეურნეო ეზოს გაფართოებას.
- 2018 წლის ბოლოდან დაწყებული, ჯავახიშვილის ქუჩის, ინასარიძის ქუჩის, ს/გზა „ხიჩაური-ახალდაბა“ს მონაკვეთისა და ე.წ ჟილის არხის მიმდებარე ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოების დასრულება.

<u>განვითარების რესურსები:</u>

- ბაზაზე გაგვაჩნია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების და ინერტული მასალების საკმაო მარაგი.
- საკუთრებაში გვაქვს ასფალტის ქარხანა, ინერტული მასალების გადასამუშავებელი ქარხანა და ტექნიკა ნებისმიერი საგზაო სამუშაოების შესასრულებლად.
- გვაქვს 2 მოქმედი ქვიშა-ხრეშის კარიერი, საკმაო რაოდენობის რესურსით.
- დამუშავებული გვაქვს სხვადასხვა ფრაქციის ღორღი და გარეცხილი ქვიშა.
- არსებული რესურსები საკმარისია სოლიდური სამუშაოების საწარმოებლად.
- სამუშაოებისთვის საჭირო თითქმის ყველა ნაკეთობას ვამზადებთ ბაზაზე.

თავი III

განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

საწარმო საქმიანობის მაღალხარისხოვნად შესრულებისთვის სისტემატიურად ანხორციელებს ინვენსტიციებს მანქანა-მექანიზმების შესაძენად. დღევანდელი მოთხოვნების შესასრულებლად საჭიროა თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური მანქანა-მექანიზმები.

აღნიშნულ მოთხოვნებს სრულად პასუხობს ბოლო წლებში შეძენილი ტექნიკა:

- ასფალტო-ბეტონის ქარხანა- მდგომარეობა ახალი. მუშაობს სრულად ავტომატურ რეჟიმში.

ზუსტად იცავს რეცეპტით მიცემულ ნორმებს, რაც გარანტიაა მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოების.

- ქვის სამსხვრევი მექანიზმი-მუშაობა შეუძლია ნებისმიერ ადგილზე, კარიერებში და ამზადებს სხვადასხვა ფრაქციის ღორღს.
- ასფალტის დასაგები ახალი მექანიზმები: გრუნტის სატკეპნი, ვიბრაციული და პნევმატური სატკეპნები, ასფალტოდამგები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია ასფალტის დაგება დამკვეთის მოთხოვნების შესაბამისად.

მნიშვნელოვანია გადაიარაღების მიზნით გატარებული ღონისძიებები. კერძოდ:

- პერიოდულად ვაახლებთ ავტოპარკს

თავი IV

სოციალური და დასაქმების საკითხები

შესასრულებელი პროექტების და საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალი.

პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შიგა განაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს და სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით.

მუშაკის მოტივაციის გაზრდის მიზნით შემუშავებული გვაქვს თანრიგების სისტემა, თითოეულ თანრიგს აქვს თავის ანაზღაურება. საწარმოში ანაზღაურება გვაქვს საათობრივი, დღიურად, შესრულებული ერთეულის მიხედვით და სარგო. აღნიშნული სისტემა შემუშავებულია წინა პერიოდების გამოცდილებით და ემსახურება პერსონალის მოტივაციის გაზრდას, სამართლიან ანაზღაურებას და საბოლოო ჯამში სამუშაოს ხარისხიანად და დროულად შესრულებას.

მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა.

მუშაკს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე.

საზოგადოება აღიარებს და მოქმედებს საქართველოში არსებული შრომითი კანონმდებლობის ფარგლებში.
საზოგადოება უზრუნველყოფს, თანამშრომლებისთვის სისტემატიურ ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუნარიანობისა და კვალიფიკაციის ზრდას. შპს ბონდი-2009-ის მიზანი საზოგადოების მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფაა. შესაბამისად ანხორციელებს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების დაგეგმვა-ადმინისტრირებას და მათ პროფესიულ გადამზადებას სხვადასხვა თემატური ტრეინინგებით.

შპს“ ბონდი-2009“-ს 2018 წლიდან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სსიპ პროფესიულ კოლეჯ ‘’ბლექსი’’-სთან’’ საგზაო სამუშაოების სპეციალისტების ინდივიდუალური მეთოდით მომზადებაზე.

შპს "ბონდი-2009" ანხორციელებს თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას. რაც გამოიხატება დასაქმებულებისათვის რეგულარული სემინარების ჩატარებით და საზოგადოების „შრომისა და უსაფრთხოების პოლიტიკის“ ფარგლებში ყოველდღიური ინსპექტირების განხორციელებით.

შპს "ბონდი-2009" მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე დასაქმელულთა უმეტესობა მამრობით სქესის წარმომაგდენელია, ამ ეტაპზე სულ დასაქმებული 120 თანამშრომლიდან მდედრობითი სქესის წარმომადგენელია-5 თანამშრომელი.

თავი V

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

საზოგადოების 2018 წლის მთავარი ფინანსური მაჩვენებლები მოცემულია ქვემოთ (ათასი ლარი):

	2018	2017
ამონაგები	18,708	19,065
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(12,898)	(11,674)
სულ აქტივები	12.695	13,012
სულ კაპიტალი	11,281	10,578
მოგება დაბეგვრამდე	3,077	5,130

ასფალტის წარმოება/გაყიდვა სახეობების მიხედვით (ტონა):

დასახელება	რეალიზებული	მოხმარება საკუთარ ობიექტებზე	სულ წარმოება
ა/ბ წვრილმარცვლოვანი ფოროვანი	2187	20405	22592
ა/ბ მსხვილმარცვლოვანი ფოროვანი	244	15818	16062
ჯამი	**2431**	**36223**	**38654**

ინფორმაცია ენერგეტიკული რესურსების გამოყენების მოცულობის შესახებ

2018 წელს შპს ,,ბონდი-2009“-ის მიერ გამოყენებული იქნა შემდეგი სახეობის ენერგეტიკული რესურსები:

N	დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5
1	ელექტროენერგია	ათასი. კვტ*სთ	442400	78712
2	ბუნებრივი აირი	ათასი კბმ	565580	417810
3	დიზელის საწვავი	ლიტრი	1196190	2108788
4	საავტომობილო ბენზინი	ლიტრი	220	359
5	ბიტუმი	ტონა	2554,18	2204626

თავი VI

გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესახებ საზოგადოება ახორციელებს თვითკონტროლსა და თვითმონიტორინგს. მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და პროგნოზირების ერთობლიობას.

საწარმოს მიერ მონიტორინგის ორგანიზება წარმოადგენს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

- საწარმოს ექსპლუატაციის დროს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება;
- რისკების თავიდან აცილება და მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;
- დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;
- ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა;
- საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში პერიოდული გარემოსდაცვითი კონტროლი (კვარტალში ერთჯერ);
- დაკვირვება გამწმენდი ნაგებობების ეფექტურ მუშაობაზე.

გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე. *ჩვენი მიზანია არ მივაყენოთ ზიანი ბუნებას და ჩვენი სამუშაოთი გამოწვეული გარემოზე ზემოქმედება მინიმუმამდე დავიყვანოთ.*

თავი VII

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საწარმოს მიერ საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია რისკის მართვა. ყველა უბანზე და თითოეულ პროექტზე ვადგენთ რისკების მართვის სისტემას. ვითვალისწინებთ საგარეო და შიდა საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს.
სისტემატიურად ხდება რისკის გარემოს შეფასება და ანალიზი, საპასუხო ღონისძიებები და მონიტორინგი.

საზოგადოების საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამშენებლო რისკების დაზღვევას: დაზღვეული ობიექტია:

1. აანაზღაუროს თანამშრომლის პრეტენზია კომპენსაციაზე, სხეულის ან ჯამრთელობის დაზიანებიდან გამომდინარე, რაც მას მიადგა ნორმალური სამუშაო მოვლენების შესრულებისას.
2. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მესამე პირის სიცოცხლეზე, ჯამრთელობაზე და/ან ქონებაზე დამდგარი ზიანი.სხვადასხვა მარაგების და ფასეულბების დაკარგვის და არამიზნობრივი ხარჯვისთვის ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები:
    - სწრაფ ბრუნვაში მყოფი მარაგების ხშირი (ყოველთვიური, კვარტალური) ინვენტარიზაცია.
    - საქმიანი ეზოში დაყენებული 4 ვიდეოკამერა, რომლითაც კონტროლდება სრულად ტერიტორია.
    - საქმიანი ეზოში აკრძალულია საწარმოს ავტომანქანის გარდა სხვა სატრანსპორტო საშუალების შესვლა.
    - ასფალტო/ბეტონი გასვლისას იწონება.
    - კონტროლდება ობიექტებზე მასალების ხარჯვა და სისტემატიურად უდარდება ბუღალტრულ მონაცემებს.

მნიშვნელოვანი რისკია ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა, რაც იწვევს სამუშაო პროცესის შეჩერებას და ფინანსურ დანაკარგებს, აღნიშნული რისკის შესამცირებლად:

- ვახდენთ მწყობრიდან გამოსული მექანიზმის ჩანაცვლებას.
- სწრაფად ვუცვლით დაზიანებულ ნაწილს (მარაგში სულ გვაქვს სათადარიგო ნაწილები, რომლებიც ადვილად ზიანდება)
- თუ საჭიროება მოითხოვს თურქეთიდან რამდენიმე დღეში ჩამოგვაქვს დაზიანებული ნაწილი ან იქ ვახდენთ ნაწილის აღდგენას.
- თუ მექანიზმის აღდგენას ჭირდება გარკვეული დრო, უბანზე ვცვლით დაგეგმილ სამუშაოებს ოპტიმალური ვარიანტით.

საწარმოს ქონების ტექნიკური და ტექნოლოგიური სისტემების უსაფრთხოების რისკების შესამცირებლად: გაზრდილი გვაქვს მატერიალურ პასუხისმგებელი პირების და უშუალო ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა; მანქანა/მექანიზმებს უტარდება ტექნიკური შემოწმებები და დათვალიერება. ხდება ხარისხიანი საწვავ-საცხებ მასალების შეძენა. დროულად ხდება ზეთების შეცვლა, რაც ახანგრძლივებს ნაწილების მუშა მდგომარეობაში ყოფნას.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ გრძელვადიანი პროექტების შემთხვევაში ვალუტის კურსის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე. სავალუტო რისკის (რისკი იმისა, რომ ქართული ლარი გაუფასიურდება უცხოურ ვალუტასთან შედარებით, რაც გამოიწვევს მასალების შესყიდვის ფასის ზრდას დამატებით დანახარჯებს კომპანიისათვის) შესამცირებლად ობიექტზე საჭირო მარაგების შეძენა ხდება პროექტის დაწყებისთანავე და მთელ მიღებულ ავანსის მიმართვა ხდება ობიექტისთვის საჭირო მასალებზე, რაც გარკვეულწილად ამცირებს რისკს.

ხელმძღვანელობა ყველანაირად ცდილობს უზრუნველყოს საზოგადოებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 20 სექტემბერს.

მამუკა დოლიძე

დირექტორი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ბონდი - 2009“

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი

აუდიტორის დასკვნა

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ.ბათუმი

2019

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბონდი - 2009“

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 3

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 4

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 7

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 8

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 9

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 10

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 11-20

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია 11

შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი 11

შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა 11

შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები 15

შენიშვნა 5. ძირითადი საშუალებები 15

შენიშვნა 6. არამატერიალური აქტივები 16

შენიშვნა 7. სასაქონლო მატერიალური ფასეულობა 16

შენიშვნა 8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 16

შენიშვნა 9. ფულადი სახსრები 17

შენიშვნა 10. წინასწარ გაწეული ხარჯები 17

შენიშვნა 11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 17

შენიშვნა 12. საგადასახადო ვალდებულებები 17

შენიშვნა 13. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 18

შენიშვნა 14. ამონაგები 18

შენიშვნა 15. გაწეული მომსახურების თვითღირებულება 18

შენიშვნა 16. სხვა შემოსავალი 18

შენიშვნა 17. კომერციული დანახარჯი 19

შენიშვნა 18. ადმინისტრაციული დანახარჯი 19

შენიშვნა 20. სხვა ხარჯები 19

შენიშვნა 21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები 20

შენიშვნა 22. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები 20

შენიშვნა 23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება 20

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბონდი-2009“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ბონდი-2009“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული საღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, საღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 18 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა დოლიძე

დირექტორი

2019 წლის 18 სექტემბერი

ბათუმი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ,,ბონდი-2009“-ის პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს ,,ბონდი-2009“-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი საარღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს ,,ბონდი-2009“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს - ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს ,,ბონდი-2009“-ისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშში შესულ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და მასზე ჩვენს აუდიტორულ დასკვნას. ხელმძღვანელობის რეპორტი მოგვეწოდება წინამდებარე აუდიტორული დასკვნის გამოცემის შემდეგ.

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე სხვა ინფორმაციას არ მოიცავს და მასზე რაიმე სახის თვალსაზრისს არ გამოვხატავთ

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი მოვალეობაა, გავეცნოთ სხვა ინფორმაციას და, იმავდროულად, დავასკვნათ, ხომ არ არის სხვა ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების ან აუდიტის პროცესში მოპოვებულთან არსებითად შეუსაბამო ან სხვაგვარად მნიშვნელოვნად არაზუსტი.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს - ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „ბონდი-2009“-ის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების

შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „ბონდი-2009“-ის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც

არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „ბონდი-2009“-ის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწო-ნილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთე-ბულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონი-რებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს ,,ბონდი-2009“-ის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს ,,ბონდი-2009“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

შპს შპს ,,ბონდი-2009“-ის ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ინტელექტ-აუდიტის“ სახელით (რეგ. №SARAS-F-583489)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

ივანე გაჩეჩილაძე (რეგ. № SARAS-A-516713)

18 სექტემბერი 2019 წელი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ბონდი - 2009"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის **31** დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართული ლარში)

აქტივები	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	5,101,709	5,302,337
არამატერიალური აქტივი	6	83,114	154,903
გრძელვადიანი მოთხოვნები		-	141,213
სულ გრძელვადიანი აქტივები		**5,184,822**	**5,598,454**
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	7	2,263,294	977,289
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	1,926,861	3,045,810
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	9	3,292,354	3,355,321
წინასწარ გაწეული ხარჯები	10	28,024	35,065
სულ მიმდინარე აქტივები		**7,510,533**	**7,413,486**
სულ აქტივები:		**12,695,355**	**13,011,940**
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		100	100
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი		8,281,545	5,484,755
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	19	2,999,049	5,092,779
სულ საკუთარი კაპიტალი		**11,280,694**	**10,577,634**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		653,590	1,162,506
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**653,590**	**1,162,506**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	449,728	847,493
საგადასახადო ვალდებულებები	12	311,343	392,296
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	13		32,010
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**761,071**	**1,271,799**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**12,695,355**	**13,011,940**

ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა დოლიძე
დირექტორი

ნათია ვარშანიძე
ბუღალტერი

2019 წლის 18 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ბონდი - 2009"

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის **31** დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	12/31/2018	12/31/2017
ამონაგები	14	18,708,400	19,065,706
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	15	(12,897,897)	(11,674,368)
საერთო მოგება		**5,810,503**	**7,391,339**
სხვა შემოსავალი	16	92,947	329,786
კომერციული დანახარჯები	17	(121,751)	(57,936)
ადმინისტრაციული დანახარჯები	18	(1,874,434)	(1,588,827)
საპროცენტო ხარჯები		(59,003)	(97,923)
სხვა ხარჯები	20	(770,906)	(846,226)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		**3,077,356**	**5,130,213**
მოგების გადასახადი		(78,307)	(37,434)
საანგარიშო წლის მოგება		**2,999,049**	**5,092,779**

ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა დოლიძე
დირექტორი

ნათია ვარშანიძე
ბუღალტერი

2019 წლის 18 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ბონდი - 2009"

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2018 წლის **31** დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ
31.12.2016 ნაშთი	19	***100***	***6,489,755***	***6,489,855***
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება		-		-
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება		-	*(1,005,000)*	**(1,005,000)**
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	19	-	*5,092,779*	**5,092,779**
31.12.2017 ნაშთი		***100***	***10,577,534***	***10,577,634***
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება		-	*(2,295,989.48)*	**(2,295,989)**
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	19	-	*2,999,049.43*	**2,999,049**
31.12.2018 ნაშთი		***100***	***11,280,594***	***11,280,694***

ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა დოლიძე
დირექტორი

ნათია ვარშანიძე
ბუღალტერი

2019 წლის 18 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-20 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ბონდი - 2009"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2018 წლის **31** დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართული ლარში)

	31.12.2018	31.12.2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	22,477,660.62	19,378,595.00
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(18,437,717)	(11,506,902)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(1,610,537)	(1,483,261)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები:	2,429,407	6,388,432
გადახდილი გადასდახადები	(1,585,807)	(2,510,255)
ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე	843,600	3,878,178
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**843,600**	**3,878,178**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(840,812)	(2,104,140)
მიღებული პროცენტები		
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**(840,812)**	**(2,104,140)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის გაზრდა		-
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	614	185,929
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(66,368)	(132,527)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**(65,754)**	**53,402**
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	**(62,966)**	**1,827,440**
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	**3,355,321**	**1,527,881**
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	**3,292,354**	**3,355,321**

ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა დოლიძე
დირექტორი

წათია ვარშანიძე
ბუღალტერი

2019 წლის 18 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

11-20 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ბონდი - 2009"

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2018 წლის **31** დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ბონდი 2009 შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიერ. საწარმოს იურიდიული მისამართი არის საქართველო, ბათუმი, ასათიანის ქ., №100. საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ბათუმი, ოპიზრების ქ., №16. საწარმო დაფუძნებულია ბადრი ჭაღალიძის, ოთარ ფუტკარაძის, ნუკრი დოლიძისა და დავით დევაძის მიერ.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა საავტომობილო გზებისა და გზატკეცილების მშენებლობა; ქუჩებისა და ტროტუარების ფუნდამენტების მომზადება და ზედა საფარის მოწყობის სამუშაოები; ასფალტობეტონის წარმოება.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითად ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2018 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (ეჭვიანი ვალების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის წაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნაშთური ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2018 წლის **31** დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენობა-ნაგებობები	15-20 წელი
მანქანა-დანადგარები	3-5 წელი
საოფისეტექნიკა	3-5 წელი
ავეჯი	3-5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	3-5 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით)იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება როგორც (საოპერაციო) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც საწარმოს აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშაულებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს,უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვეთა, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, თუ არსებობს რაიმე მსგავსი ნიშნები, საწარმო გადახედავს წინა შეფასებებს და თუ ახლანდელი შეფასებები მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისგან, შეცვლის აქტივის ნარჩენი ღირებულებას, ცვეთის მეთოდს ან სასარგებლო მომსახურების ვადას.

შენიშვნა 5. ძირითადი საშუალებები	31.12.18	შემოსვლა	გასვლა	31.12.17
მიწის ნაკვეთები	723,446	-	-	723,446
დაუმთავრებელი მშენებლობა	0	27,763	240,729	212,966
შენობები	555,689	240,729	30,202	345,162
ნაგებობები	25,750	-	1,357	27,107
მანქანა-დანადგარები	1,156,807	11,862	289,202	1,434,147
ოფისის აღჭურვილობა	42,507	28,412	10,627	24,721
ავეჯი და სხვა ინვენტარი	1,176	1,087	-	88
სატრანსპორტო საშუალებები	2,596,334	771,687	710,053	2,534,700
	5,101,709	1,081,541	1,282,170	5,302,337

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2018 წლის **31** დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ვინაიდან მოსალოდნელია, რომ მაწქანა-დანადგარის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით აქტივიები ბალანსში ასახულია აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

შენიშვნა 6. არამატერიალური აქტივები	31.12.18	შემოსვლა	გასვლა	31.12.17
სამტრედია ქველა ბაშა	53,964	-	8,071	62,035
სავაავახოს ქვიშა ხრეში	-	-	51,079	51,079
წყლის ლიცენზია	906	906	907	907
ლანჩხუთის მიმლებარე ტერიტორია	28,244	-	3,128	31,372
ქედა ბალაძეები	-	-	9,511	9,511
	83,114	906	72,696	154,903

არამატერიალური აქტივებზე ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ქვიშა ხრეშის მოპოვების ლიცენზიებს, ამორტიზაცია დარიცხულია ლიცენზიის ფლობის პროპორციულად.

შენიშვნა 7. სასაქონლო მატერიალური ფასეულობა	31.12.18	31.12.17
საქონელი	375,904	187,797
ნედლეული და მასალები	685,742	106,179
მასალები	633,591	467,668
ინვენტარი	8,545	9,870
ობიექტები	528,430	169,075
მზა პროდუქცია	29,421	34,870
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	1,661	1,831
	2,263,294	977,289

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიღება აღიარებულია შეძენის თვითღირებულებით, გასვლა აღიარებულია საშუალო შეწონილი ღირებულებით.

შენიშვნა 8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.18	31.12.17
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,563,468	2,818,507
საეჭვო მოთხოვნების კორექტირება	162,112	169,821
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	29,546	26,340
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები მოთხოვნები საწარმოს პერსონალთან	171,734	31,143
	1,926,861	3,045,810

პერიოდის განმავლობაში საეჭვო მოთხოვნების კორექტირების ანგარიში შემცირებულ იქნა 7,708.6 ლარით.

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2018 წლის **31** დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 9. ფულადი სახსრები	31.12.18	31.12.17
ფული საბანკო ანგარიშზე - ლარი	123,632	1,463,048
ფული საბანკო ანგარიშზე - უცხოური ვალუტა	**3,116,795**	1,133,964
ფული სალაროში	**51,927**	**758,309**
ჯამი	3,292,354	3,355,321

ფული საბანკო ანგარიშზე - უცხოურ ვალუტაში წლის ბოლოს არსებული ნაშთი გადაანგარიშებულ იქნა შესაბამისი ეროვნული ბანკის კურსით თანხით 35,202.47 ლარით.

კომპანიის ფულადი სახსრების გამოყენებაზე არ არსებობს რაიმე შეზღუდვა

შენიშვნა 10. წინასწარ გაწეული ხარჯები	31.12.18	31.12.17
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება (ხელფასი)	28,024	35,065
	28,024	35,065

წინასწარ ანაზღაურებული ხელფასები 28,024 ლარი აღიარებულ იქნა აქტივად.

შენიშვნა 11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.12.18	31.12.17
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	442,506	840,701
მიღებული ავანსები	7,222	6,792
	449,728	847,493

შენიშვნა 12. საგადასახადო ვალდებულებები	31.12.18	31.12.17
მოგების გადასახადი	7,294	(70,661)
საშემოსავლო გადასახადი	47,720	81,453
დღგ - გადასახადი	150,694	314,683
ქონების გადასახადი	100,561	52,998
დანარჩენი საგადასახადო ვალდებულება	5,074	13,824
	311,343	392,296

საქართველოს საგადასახადო კოდექსში, მოგების გადასახადის ნაწილში, 2016 წელს შეტანილი ცვლილებებიდაან გამომდინარე, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილ აქტივებსა და ვალდებულებებს საგადასახადო მიზნებისათვის არ გააჩნია განსხვავებული მნიშვნელობა - საგადაახადო ბაზა. შესაბამისად 2016 წლის 31 დეკემბრის შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში არ წამოიშობა დასაბეგრი და გამოსაქვითი დროებითი სხვაობები და მოგების გადასახადი წარდგენილია მიმდინარე გადასახადის სახით.

შენიშვნა 13. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	31.12.18	31.12.17
შრომის ანაზღაურების ვალდებულება	-	-
ვალდებულება პერსონალის წინაშე	-	32,010
	-	32,010

შენიშვნა 14. ამონაგები	31.12.18	31.12.17
მწა პროდუქციის რეალიზაცია	320,546	560,669
ნელლეულის რეალიზაცია	165,450	300,073
საქონლის რეალიზაცია	994,108	2,586,569
არაპირდაპირი მწა პროდუქციის რეალიზაცია	347	568
მომსახურების რეალიზაცია	17,117,489	15,383,215
ძირითადი საშუალების რეალიზაცია		216,102
დაუბეგრავი შემოსავალი	110,460	18,511
	18,708,401	19,065,706

შენიშვნა 15. გაწეული მომსახურების თვითღირებულება	31.12.18	31.12.17
ძირითადი მასალების დანახარჯები/შემენა	35,939	54,847
მასალების ჩამოწერა	4,724,919	2,994,920
გაყიდული/შემენილი საქონელი	3,058,473	3,515,161
გაწეული მომსახურება	3,113,834	3,220,889
მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი	1,010,953	1,168,170
ცვეთა და ამორტიზაცია	953,779	720,382
	12,897,897	11,674,368

შენიშვნა 16. სხვა შემოსავალი	31.12.18	31.12.17
არასაოპერაციო მოგება	1,351	52,392
ტექნიკური ბალასტი	42,089	32,773
დანაკლისის რეალიზაცია	43,927	35,417
ლითონის მილი	3,990	540
ბეტონის მილი მეორადი	1,470	-
ბეტონის ფილა	120	-
დადებითი კურსი	-	208,664
	92,947	329,786

შენიშვნა 17. კომერციული დანახარჯი	31.12.18	31.12.17
სარგებელი საიჯარო მომსახურებაზე	18,979	44,318
მიწის იჯარა	48,051	-
ტექნიკის იჯარა	54,721	13,618
	121,751	57,936

შენიშვნა 18. ადმინისტრაციული დანახარჯი	31.12.18	31.12.17
შრომის ანაზღაურების ხარჯი	1,874,434	1,588,827
	1,874,434	1,588,827

შენიშვნა 19. საწყისი ნაშთი ცვლილების შეტანამდე		***3,122,425***
საკურსო სხვაობის ხარჯად აღიარება		(35,202.47)
ცვეთის დარიცხვა		(30,202.46)
საგადასახადო ხარჯის დარიცხვა		(11,005.00)
საგადასახადო ხარჯის შემცირება		1,201.00
ქონების გადასახადის დარიცხვა		(47,565.07)
საპროცენტო ხარჯის დარიცხვა		(752.07)
დებიტორული დავალიანების შემოსავალში აღება		150.00
ნაშთი ცვლილების შედეგ		2,999,049

შენიშვნა 20. სხვა ხარჯები	31.12.18	31.12.17
უარყოფითი კურსი	**41,906**	**132,527**
ბანკის მომსახურება	**5,457**	**90,163**
სერთიფიკაცია	**32,611**	**392**
მივლინების ხარჯი	**26,670**	**19,380**
საგადასახადო	**120**	**259**
რეგისტრაციის ხარჯი	**8,759**	**2,293**
განცხადების ხარჯი	**2,995**	**245**
დაზღვევა მანქნების		**5,025**
ბანკის გარანტიის საკომისიო	**92,030**	**23,145**
ჯარიმის თანხა	**27,244**	**45,792**
საჯარო რეესტრის ხარჯი	**831**	**109**

ახსნა - განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2018 წლის **31** დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ექსპერტიზის ხარჯი	**194,355**	**95,498**
ტესტირების ხარჯი	**10,095**	**1,056**
აუქციოს ხარჯი	**1,765**	**4,266**
ნებართვის ხარჯი		**520**
იმპორტის გადასახადი	**3,273**	**11,329**
საკანცელარიო ხარჯი	**3,337**	**3,073**
სხვადასხვა ხარჯი	**46,774**	**49,612**
ელექტრო ენერგიის ხარჯი	**24,276**	**8,247**
ბუნებრივი რესურსები	**47,144**	**43,344**
ქონების გადასახადი	**45,729**	**45,039**
მიწის გადასახადი	**1,836**	**1,716**
სხვა ხარჯები	**153,698**	**263,197**
	770,906	846,226

შენიშვნა 21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საწარმომ 2019 წლის 29 მაისს პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულება N18-ით შეისყიდა არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, აუქციონზე შეძენილი ქონების სრული საპრივატიზაციო საფასური 6384400 ლარი შეადგინა, აგრეთვე საწარმო ვალდებულია საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე განახორციელოს თანამედროვე არქიტექტურული იერსახის მქონე მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის მშენებლობა

შენიშვნა 22. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

საწარმო დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს პირ(ებ)ს, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საწარმოზე
- უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები

	2018 წ.	2017 წ.
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების (კომპენსაციის) მთლიანი თანხა	83950	73710

შენიშვნა 23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 18 სექტემბერს.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბონდი -2009“

მმართველობის ანგარიშგება

(2018 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის)

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მმართველობის ანგარიშგებაში ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის, შესაბამისად.
- მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე შესაბამისი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მიხედვით.
- აგრეთვე მმართველობის ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციის, თანხვდენილობაზე აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2019 წლის 20 სექტემბერს

შპს „ბონდი-2009“-ის დირექტორი

მამუკა დოლიძე

20 სექტემბერი 2019 წელი

დამოუკიდებელი მარწმუნებელი ანგარიში

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბონდი-2009“-ის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

შესავალი

ჩვენ ჩავატარეთ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბონდი-2009-ის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის, შესაბამისად მომზადებული, 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგების დამოუკიდებელი დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი, მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგების სფერო

ჩვენი პასუხისმგებლობაა დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე. ჩვენ ჩავატარეთ გარიგება, მარწმუნებელი გარიგებებისათვის ნებადართული მარწმუნებელი გარიგებების, საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (მგსს) 3000 (გადასინჯული) ფირმა იყენებს. ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტს (ხკსს) 1-ს და შესაბამისად გააჩნია, ხარისხის კონტროლის კომპლექსური სისტემა მათ შორის დოკუმენტირებული პოლიტიკა, და პროცედურები რომლებიც ეხება ეთიკური ნორმების პროფესიული სტანდარტებისა და შესაბამისი საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვას.

ჩვენ დავიცავით ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) მიერ გამოცემული პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსით განსაზღვრული, დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული და სხვა ეთიკური ნორმები, რომლებიც დაფუძნებულია პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების, კონფიდენციალობისა და პროფესიული ქცევის ძირითად პრინციპებზე.

ჩვენ აუდიტის საერთაშორისი სტანდარტების შესაბამისად აქამდე ჩავატარეთ კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება 2018 წლის 18 სექტემბერს. 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს,ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ მოვლენების გავლენას

მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი ის მოვლენები რომლებიც მოხდა ფინანსურ, ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ჩვენ პროფესიული განსჯის საფუძველზე შევარჩიეთ და განვახორციელეთ პროცედურები, როგორიცაა გამოკითხვა, ანალიზი და დოკუმენტაციის გადახედვა კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების მეთოდოლოგიებისა და წარდგენილი ინფორმაციის შედარება ,ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან, ასევე განვახორცილეთ რაოდენობრივი და სხვა მონაცემების გადათვლა შედარება და შეჯერება.

მოსაზრება

ჩვენი აზრით:

- 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

- 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია თანხვდენილია 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან

შპს „ინტელექტ-აუდიტის“ სახელით (რეგ. №SARAS-F-583489)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

ივაწე გაჩეჩილაძე (რეგ. № SARAS-A-516713)

20 სექტემბერი 2019 წელი

მმართველობის ანგარიშგება

თავი I

ზოგადი ინფორმაცია საზოგადოების შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბონდი-2009“ (შემდგომში „საზოგადოება“) რეგისტრირებულია 2009 წლის 02 ივნის ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიერ. საწარმოს იურიდიული მისამართია: საქართველო, ბათუმი, ასათიანის ქ., №100. საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ბათუმი, ოპიზრების ქ., №16. საწარმოს დამფუძნებლები და 25-25-% წილის მმართველების არიან: ბადრი ჭაღალიძე, ოთარ ფუტკარაძე, ნუკრი დოლიძე და დავით დევაძე.

საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს. საკუთარი საქმიანობის წარმართვისას პარტნიორთა საერთო კრება ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და საზოგადოების წესდებით. პარტნიორების ძირითადი უფლებები – დივიდენდების მიღების უფლება და საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლება – განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში და საზოგადოების წესდებაში. საზოგადოების პარტნიორებს უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების მართვაში, პირველ რიგში პარტნიორთა კრებაზე მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების გზით.

საზოგადოების წესდების შესაბამისად, ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ანხორციელებს დირექტორი. საზოგადოების დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით (2009 წლის 02 ივნისის ოქმი №1) საზოგადოების დაფუძნებიდან, ანუ 2009 წლის 02 ივნისიდან შპს „ბონდი-2009“-ის დირექტორად არჩეულ იქნა მამუკა დოლიძე დაბადების წელი 1966, საქართველოს მოქალაქე, საზოგადოებაში წილს არ ფლობს.

საწარმოში შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ.
ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით მომზადებულია თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა.

საზოგადოების საგადასახადო აღრიცხვის სისტემა კარგად ჩამოყალიბებული და მართული. კომპანიის


ბუღალტერია დაკომპლექტებულია შესაბამისი კვალიფიკაციის და საკმარისი გამოცდილების მქონე თანამშრომლებით, რომლებიც რეგულარულად ესწრებიან ტრენინგებს, იმისათვის რათა საქმის კურსში იყვნენ საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე. კომპანიის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს საგადასახადო და სხვა მარეგულირებლებთან პირნათელი ურთიერთობა რასაც წარმატებით ახორციელებს.

საქმიანობის მიმოხილვა

შპს ,,ბონდი-2009“-ის საქმიანობის ძირითადი სახეობებია:

1. გზების მშენებლობა (მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები; გზის შეკეთების სამუშაოები)
2. მზა პროდუქციის რეალიზაცია
3. ნედლეულის რეალიზაცია
4. საქონლის რეალიზაცია
5. ძირითადი საშუალებების რეალიზაცია
6. სხვადასხვა შემოსავალი

2018 წლის შემოსავალი სახეობების მიხედვით:



2015-2018 წლებში საწარმოს მიერ განხორციელებული მსხვილი პროექტები:

N	თითოეული ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების დასახელება	შემსყიდველის დასახელება	სამუშაოების დასრულების თარიღი	სამუშაოების ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	6
1	გურიელის ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოები (spa 150015561	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია		**246 980,49**
2	ადლიის მე-3 ჩიხის კეთილმოწყობის სამუშაოები (spa №150015515)	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია		**220 000,00**
3	შ. ხიმშიაშვილის ქუჩის (ჩარმიქლის ქუჩიდან ჯულიანის არხამდე) კეთილმოწყობა	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	17,11,2015 წ	**1 190 921,44**
4	დ. აღმაშენებლი, თ. აბუსერიძის, გ. აბაშიძის ქ. (SPA №150033085)	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	29.11.2016 w	**2 343 343,00**
5	ს/გზა „დანდალო-ხარაულა“ (spa №160001134)	აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემის მართვის დეპარტამენტი	29.07.2016 w	**1 018 147,00**
6	ს/გზა „ხულო-უჩხო-კურცხალი“ (spa №160013755)	აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემის მართვის დეპარტამენტი	25.10.2016 w	**1 127 391,09**
7	ქ. ბათუმი, გოგებაშვილის (ბაქოს) ქუჩის მონაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები (სპა №160020160)	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	25.12.2016 w	**903 820,00**
8	ქ. ბათუმში ე.წ. „ჭაობის დასახლებაში“ ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოები (NAT#170000177)	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	01.09.2018 w	**5 360 066,99**

9	ქ. ბათუმში ე.წ. „ბარცხანის დასახლებაშ“ ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოები (NAT170000184)	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	01.06.2018 w	**4 479 639,11**
10	ქედის მუნიციპალიტეტში ს/გზა „ქედა-მერისი-ნამონასტრევი“ კმ8+000-კმ10+000 მონაკვეთზე ასფალტბეტონის მოწყობა (spa NAT №170000242)	აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემის მართვის დეპარტამნტი	10.07.2017 w	**717 770,00**
11	შუახევის მუნიციპალიტეტში ს/გზა „ღორექეთი-გამარდული“ კმ0+000-კმ4+400 მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობა NAT170004888	აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემის მართვის დეპარტამნტი	25.10.2017 w	**1 934 860,00**
12	ს/გზა „შუახევი-თერნალი“' (spa №160001218)	აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემის მართვის დეპარტამნტი	28.08.2016 w	**812 658,00**
13	ს/გზა „შუახევი-ჩირუხი“ (spa №160011565)	აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემის მართვის დეპარტამნტი	24.09.2016 w	**668 668,00**
14	ხულოს მუნიციპალიტეტში გოდერძის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიაზე, სამთო-სათხილამურო კურორტის ქვედა დასახლებაშ ახალი 1761 მეტრიანი ახალი საავტომობილო გზის მშენებლობის სამუშაოები	შპს Goderdzi Resorts	31.10.2017 w	**1 434 479,21**
15	შუახევის მუნიციპალიტეტში ს/გზა „შუახევი-ჩირუხი“ კმ0+000-კმ6+000 მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობა NAT180000074	აჭარის ა.რ.მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საავტომობილო გზებისა და სამელიორაციოსისტემის მართვის დეპარტამენტი	07,08,2018 წ	**2 782 557,29**

16	ქედის მუნიციპალიტეტში ს/გზა „დანდალო-ტაკიძეები“ კმ0+000-კმ2+500 მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობა NAT180000484	აჭარის ა.რ.მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საავტომობილო გზებისა და სამელიორაციოსისტემის მართვის დეპარტამენტი	16,05,2018 წ	**705 314,97**
17	ქ, ბათუმში. ნ. ნიჟარაძის ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოები NAT180000396	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	18.06.2019 წ	**1 338 831,25**
18	ქ. ბათუმში, აკ შამილაძის და ლადო ასათიანის ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოები NAT180005610	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	18,06,2019 წ	**3 715 973,81**
19	ქ, ბათუმში, ე.წ. ბონი-გოროდოკი“-ს ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოები NAT1800010262	ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“	21,06,2019 წ	**4 882 278,16**
20	ხულოს მუნიციპალიტეტში ს/გზა „ხიხაძირი-თხილვანა-ბაკო“ კმ0+350-კმ3+200 მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობა NAT170014343	აჭარის ა.რ.მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საავტომობილო გზებისა და სამელიორაციოსისტემის მართვის დეპარტამენტი	30,08,2018 წ	**1 416 859,67**
21	შუახევის მუნიციპალიტეტში ს/გზა „ზომლეთი-ნიგაზეული“ კმ0+000-კმ2+280 მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობა NAT170014352	აჭარის ა.რ.მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საავტომობილო გზებისა და სამელიორაციოსისტემის მართვის დეპარტამენტი	29,07,2018 წ	**1 090 372,95**
22	ხულოს მუნიციპალიტეტში ს/გზა „ზამლეთი-ხიხაძირი“ კმ0+000-კმ1+600 მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობა NAT170014288	აჭარის ა.რ.მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საავტომობილო გზებისა და სამელიორაციოსისტემის მართვის დეპარტამენტი	25,06,2018 წ	**723651,05**

განხორციელებული სამუშაოები მოპოვებულია ტენდერების გზით/ხელშეკრულებების საფუძველზე. აღნიშნული სამუშაოებით მივიღეთ საკმაო გამოცდილება და გაგვიჩნდა შესაძლებლობები სხვა სოლიდურ ტენდერებში მონაწილეობის.

ზემოთ მოყვანილი პროექტების შესრულებისას სამუშაოებს აკონტროლებს ზედამხედველობის სამსახური. მათი წარმოადგენლები ესწრებიან ყველა სამუშაო პროცესს, ასურათებენ და აოქმებენ შემსრულებელთან ერთად აფორმებენ აქტს ყველა ფარულ სამუშაობზე. ყოველი თვის ბოლოს დამკვეთს წარედგინება შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი ფორმა, რომლის სისწორეს ადასტურებენ ზედამხედველები. მთლიანად ობიექტი ბარდება სამხარაულის ექსპერტიზის ან აკრედიტებული ექსპერტიზის მიერ გაცემული დადებითი დასკვნის საფუძველზე.

თავი II

საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:
- საზოგადოების შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- მომხმარებლების მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
- არსებული ძირითადი საშუალებების ექსპლოატაცია ნორმების და მისთვის განსაზღვრული პირობების შენარჩუნებით, თავისდროული მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება;
- სატრანსპორტო საშუალებების პარკის განახლება/განვითარება;
- არამატერიალური აქტივების - ბუნებრივი რესურსების ლიცენზიების ეფექტურად გამოყენება.

<u>მიმდინარე გეგმები:</u>

- საზოგადოება გეგმავს მონაწილეობას რამოდენიმე პროექტში, კერძოდ: მიმდინარე ტენდერებში მონაწილეობის მიღებას, მიწის ნაკვეთის შეძენას მშენებლობის მიზნით, სამეურნეო ეზოს გაფართოებას.
- 2018 წლის ბოლოდან დაწყებული, ჯავახიშვილის ქუჩის, ინასარიძის ქუჩის, ს/გზა „ხიჩაური-ახალდაბა"ს მონაკვეთისა და ე.წ ჟილის არხის მიმდებარე ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოების დასრულება.

<u>განვითარების რესურსები:</u>

- ბაზაზე გაგვაჩნია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების და ინერტული მასალების საკმაო მარაგი.
- საკუთრებაში გვაქვს ასფალტის ქარხანა, ინერტული მასალების გადასამუშავებელი ქარხანა და ტექნიკა ნებისმიერი საგზაო სამუშაოების შესასრულებლად.
- გვაქვს 2 მოქმედი ქვიშა-ხრეშის კარიერი, საკმაო რაოდენობის რესურსით.
- დამუშავებული გვაქვს სხვადასხვა ფრაქციის ღორღი და გარეცხილი ქვიშა.
- არსებული რესურსები საკმარისია სოლიდური სამუშაოების საწარმოებლად.
- სამუშაოებისთვის საჭირო თითქმის ყველა ნაკეთობას ვამზადებთ ბაზაზე.

თავი III

განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

საწარმო საქმიანობის მაღალხარისხოვნად შესრულებისთვის სისტემატიურად ანხორციელებს ინვენსტიციებს მანქანა-მექანიზმების შესაძენად. დღევანდელი მოთხოვნების შესასრულებლად საჭიროა თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური მანქანა-მექანიზმები.

აღნიშნულ მოთხოვნებს სრულად პასუხობს ბოლო წლებში შეძენილი ტექნიკა:

- ასფალტო-ბეტონის ქარხანა - მდგომარეობა ახალი. მუშაობს სრულად ავტომატურ რეჟიმში.

ზუსტად იცავს რეცეპტით მიცემულ ნორმებს, რაც გარანტიაა მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოების.

- ქვის სამსხვრევი მექანიზმი-მუშაობა შეუძლია ნებისმიერ ადგილზე, კარიერებში და ამზადებს სხვადასხვა ფრაქციის ღორღს.
- ასფალტის დასაგები ახალი მექანიზმები: გრუნტის სატკეპნი, ვიბრაციული და პნევმატური სატკეპნები, ასფალტოდამგები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია ასფალტის დაგება დამკვეთის მოთხოვნების შესაბამისად.

მნიშვნელოვანია გადაიარაღების მიზნით გატარებული ღონისძიებები. კერძოდ:

- პერიოდულად ვაახლებთ ავტოპარკს

თავი IV

სოციალური და დასაქმების საკითხები

შესასრულებელი პროექტების და საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალი.

პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შიგა განაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს და სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით.

მუშაკის მოტივაციის გაზრდის მიზნით შემუშავებული გვაქვს თანრიგების სისტემა, თითოეულ თანრიგს აქვს თავის ანაზღაურება. საწარმოში ანაზღაურება გვაქვს საათობრივი, დღიურად, შესრულებული ერთეულის მიხედვით და სარგო. აღნიშნული სისტემა შემუშავებულია წინა პერიოდების გამოცდილებით და ემსახურება პერსონალის მოტივაციის გაზრდას, სამართლიან ანაზღაურებას და საბოლოო ჯამში სამუშაოს ხარისხიანად და დროულად შესრულებას.

მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა.

მუშაკს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე.

საზოგადოება აღიარებს და მოქმედებს საქართველოში არსებული შრომითი კანონმდებლობის ფარგლებში.

საზოგადოება უზრუნველყოფს, თანამშრომლებისთვის სისტემატიურ ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუნარიანობისა და კვალიფიკაციის ზრდას. შპს ბონდი-2009-ის მიზანი საზოგადოების მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფაა. შესაბამისად ანხორციელებს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების დაგეგმვა-ადმინისტრირებას და მათ პროფესიულ გადამზადებას სხვადასხვა თემატური ტრეინინგებით.

შპს“ ბონდი-2009“-ს 2018 წლიდან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სსიპ პროფესიულ კოლეჯ ‘‘ბლექსი’’-სთან” საგზაო სამუშაოების სპეციალისტების ინდივიდუალური მეთოდით მომზადებაზე.

შპს "ბონდი-2009" ანხორციელებს თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ნაკლები საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას. რაც გამოიხატება დასაქმებულებისთვის რეგულარული სემინარების ჩატარებით და საზოგადოების „შრომისა და უსაფრთხოების პოლიტიკის“ ფარგლებში ყოველდღიური ინსპექტირების განხორციელებით.

შპს "ბონდი-2009" მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე დასაქმელულთა უმეტესობა მამრობით სქესის წარმომაგდენელია, ამ ეტაპზე სულ დასაქმებული 120 თანამშრომლიდან მდედრობითი სქესის წარმომადგენელია-5 თანამშრომელი.

თავი V

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

საზოგადოების **2018** წლის მთავარი ფინანსური მაჩვენებლები მოცემულია ქვემოთ (ათასი ლარი):

	2018	2017
ამონაგები	18,708	19,065
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(12,898)	(11,674)
სულ აქტივები	12.695	13,012
სულ კაპიტალი	11,281	10,578
მოგება დაბეგვრამდე	3,077	5,130

ასფალტის წარმოება/გაყიდვა სახეობების მიხედვით (ტონა):

დასახელება	რეალიზებული	მოხმარება საკუთარ ობიექტებზე	სულ წარმოება
ა/ბ წვრილმარცვლოვანი ფოროვანი	2187	20405	22592
ა/ბ მსხვილმარცვლოვანი ფოროვანი	244	15818	16062
ჯამი	2431	36223	38654

ინფორმაცია ენერგეტიკული რესურსების გამოყენების მოცულობის შესახებ

2018 წელს შპს ,,ბონდი-2009“-ის მიერ გამოყენებული იქნა შემდეგი სახეობის ენერგეტიკული რესურსები:

N	დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5
1	ელექტროენერგია	ათასი. კვტ*სთ	442400	78712
2	ბუნებრივი აირი	ათასი კბმ	565580	417810
3	დიზელის საწვავი	ლიტრი	1196190	2108788
4	საავტომობილო ბენზინი	ლიტრი	220	359
5	ბიტუმი	ტონა	2554,18	2204626

თავი VI

გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესახებ საზოგადოება ახორციელებს თვითკონტროლსა და თვითმონიტორინგს. მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და პროგნოზირების ერთობლიობას.

საწარმოს მიერ მონიტორინგის ორგანიზება წარმოადგენს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

- საწარმოს ექსპლუატაციის დროს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება;
- რისკების თავიდან აცილება და მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;
- დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;
- ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა;
- საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში პერიოდული გარემოსდაცვითი კონტროლი (კვარტალში ერთჯერ);
- დაკვირვება გამწმენდი ნაგებობების ეფექტურ მუშაობაზე.

გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე. *ჩვენი მიზანია არ მივაყენოთ ზიანი ბუნებას და ჩვენი სამუშაოები გამოწვეული გარემოზე ზემოქმედება მინიმუმამდე დავიყვანოთ.*

თავი VII

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საწარმოს მიერ საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია რისკის მართვა. ყველა უბანზე და თითოეულ პროექტზე ვადგენთ რისკების მართვის სისტემას. ვითვალისწინებთ საგარეო და შიდა საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს.
სისტემატიურად ხდება რისკის გარემოს შეფასება და ანალიზი, საპასუხო ღონისძიებები და მონიტორინგი.

საზოგადოების საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამშენებლო რისკების დაზღვევას: დაზღვეული ობიექტია:

1. აანაზღაუროს თანამშრომლის პრეტენზია კომპენსაციაზე, სხეულის ან ჯამრთელობის დაზიანებიდან გამომდინარე, რაც მას მიადგა ნორმალური სამუშაო მოვლენების შესრულებისას.
2. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მესამე პირის სიცოცხლეზე, ჯამრთელობაზე და/ან ქონებაზე დამდგარი ზიანი.სხვადასხვა მარაგების და ფასეულბების დაკარგვის და არამიზნობრივი ხარჯვისთვის ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები:
   - სწრაფ ბრუნვაში მყოფი მარაგების ხშირი (ყოველთვიური, კვარტალური) ინვენტარიზაცია.
   - საქმიანი ეზოში დაყენებული 4 ვიდეოკამერა, რომლითაც კონტროლდება სრულად ტერიტორია.
   - საქმიანი ეზოში აკრძალულია საწარმოს ავტომანქანის გარდა სხვა სატრანსპორტო საშუალების შესვლა.
   - ასფალტო/ბეტონი გასვლისას იწონება.
   - კონტროლდება ობიექტებზე მასალების ხარჯვა და სისტემატიურად უდარდება ბუღალტრულ მონაცემებს.

მნიშვნელოვანი რისკია ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა, რაც იწვევს სამუშაო პროცესის შეჩერებას და ფინანსურ დანაკარგებს, აღნიშნული რისკის შესამცირებლად:

- ვახდენთ მწყობრიდან გამოსული მექანიზმის ჩანაცვლებას.
- სწრაფად ვუცვლით დაზიანებულ ნაწილს (მარაგში სულ გვაქვს სათადარიგო ნაწილები, რომლებიც ადვილად ზიანდება)
- თუ საჭიროება მოითხოვს თურქეთიდან რამდენიმე დღეში ჩამოგვაქვს დაზიანებული ნაწილი ან იქ ვახდენთ ნაწილის აღდგენას.
- თუ მექანიზმის აღდგენას ჭირდება გარკვეული დრო, უბანზე ვცვლით დაგეგმილ სამუშაოებს ოპტიმალური ვარიანტით.



საწარმოს ქონების უსაფრთხოების გაზრდილი რისკების შესამცირებლად: ტექნიკური და ტექნოლოგიური სისტემების გვაქვს მატერიალურ პასუხისმგებელი პირების და ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა; მანქანა/მექანიზმებს უტარდება ტექნიკური შემოწმებები და დათვალიერება. ხდება ხარისხიანი საწვავ-საცხებ მასალების შეძენა. დროულად ხდება ზეთების შეცვლა, რაც ახანგრძლივებს ნაწილების მუშა მდგომარეობაში ყოფნას.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ გრძელვადიანი პროექტების შემთხვევაში ვალუტის კურსის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე. სავალუტო რისკის (რისკი იმისა, რომ ქართული ლარი გაუფასიურდება უცხოურ ვალუტასთან შედარებით, რაც გამოიწვევს მასალების შესყიდვის ფასის ზრდას დამატებით დანახარჯებს კომპანიისათვის) შესამცირებლად ობიექტზე საჭირო მარაგების შეძენა ხდება პროექტის დაწყებისთანავე და მთელ მიღებულ ავანსის მიმართვა ხდება ობიექტისთვის საჭირო მასალებზე, რაც გარკვეულწილად ამცირებს რისკს.

ხელმძღვანელობა ყველანაირად ცდილობს უზრუნველყოს საზოგადოებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 20 სექტემბერს.

მამუკა დოლიძე

დირექტორი